23 ოქტომბერს (4 ნოემბერს) 1869. № 43. მეოთხე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი

	Გაგზავნით ტფილისში	Გაუგზავნელათ:
	და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, შელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინაარსი:

შინაგანი ცნობები.—რუსეთის ამბები.—„დროების“ კორრესპონდენცია ახალციხიდან.—პოლიტიკა: ესპანია,—ფრანცია,—ინგლია,—ამერიკის შეერთებული შტატები.—სამოსამართლო ქრონიკა.—სიგელი.—სხვა და სხვა ამბავი.—ფოსტა—ფელეგრაფი.—„მიმოველა რუსეთისკენ.“—ძვის ნახშირი და მზის სითბოს გამოყენება ცხოვრებაში.—

შინაგანი ცნობები.

ჩვენ გავიგონეთ, რომ თბილისში ამ ზამთრით რამდენიმე პირის თაობით გაიხსნებაო საქალებო კურსები. როგორც ამბობენ, ლექციები წაიკითხებიან ვაჟების გიმნაზიების პროგრამმით; მხოლოთ პედაგოგიას, იგიენას და სხვა ქალებისთვის უფრო საჭირო საგნებს ექნებაო მიქცეული მომატებული ყურადღება. შეჭველია, ყველასთვის სასიამოვნო იქნება, რომ ეს ხმები გამართლდენ და ზემოხსენებული საქმე მოვიდეს სისრულეში. ჩვენ არ გაგვიგია ჯერ ნამდვილათ-ლექციების სმენა უფასოთ იქნება, თუ ფასითა. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ნაირი კურსები, თუ რიგიანათ გამართეს, ძალიან დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს, სწავლის საშუალების მოკლებულს, დედებსა და დებს.—

პეტერბურგიდგან ნიჟნამდის.

7 სექტემბერი. დილით რვა საათზე პეტერბურგის მაშინამ იწივლა და გაუდგა მოსკოვისაკენ: სხვათა შორის მეც თან მივყავდი. საცა მე მოვხვდი, ის ეაგონი ასეთ ნაირათ იყო გაჭედილი მუშებით, რომ მიბრუნ-მობრუნება არ შეეძლო კაცსა; გადგა ეაგონში მჟავე ბული. ამ მძიმე ჰაერმა ერთ წამას დამათრო და დამაძინა. მოსკოვამდის აღარა გამიგიარა, თუმცა თქვენც კარგათ წარმოიდგენთ, მკითხველო, რა მოსვენებითაც შეიძლება დაიძინოს კაცმა ორი მტკაველის სიფართე ადგილზე. ჩემი ძილი უფრო სუნით გაბრუებული კაცის ძილსა ჰგავდა. ვისაც ჰსურს ერთი დღით მაინც სრულათ განისვენოს თავის მძიმე ფიქრებიდგან, იმას ეურჩევთ მესამე კლასით მგზავრობასა მოსკოვ-პეტერბურგის რკინის გზაზე. მეორე დღეს ათ საათზე მოსკოვის ეოგზალს მივადეგით. ჩამოვდგი თუ არა ფეხი კიბეზედა, მაშინვე ნომრიანი კაცები გარს შემომადგენ და ყველა ერთბაშათ დაბეჭდილს ბილეთებს მაძლევდა ხელში:—ღმერთი არ გაუწყრესთ, არა მომპაროთ რა მეთქი და უნებურათ ხელი პორტმანესაკენ წავიღე; მერე, როცა მივიხედ-მოვიხედე, ცოტა გულიც დამშოშმანდა; ჩემს მახლობლათ ცხენოსანი ჟანდარმები დოინჯებ შემოყრილი თავს დაგვცქეროდენ.

* * *

— ბატონო, ბატონო, ჩემს სასტუმროში მობძანდით!... „არა, ბატონო, ჩემი სჯობია, პარკეთის პოლიანია...—ბატონო, ჯერ ეს ბილეთი ინებეთ, და მერე მოგახსენებთ ყველაფერს....“—თუ თავიდგან არ მოვიშორე ესენი, ან თვალ წამომთხრიან, ან პირში ბილეთს ჩამჩრიან-მეთქი. ორმოცი კაცის ერთათ რუზრუზმა და ხელების მოღერებამ ისე გამაშტერა, რომ ვეღარაფერი ვეღარ ვიფიქრე, დარეტიანებულსავით ერთ ალაგას ვიდექი. ამ დროს ერთი პირ-ტიტველა და თვალებ-ციმციმა ბიჭი წინ ამეტუზა, მატაკა გულზე ბილეთი და ზედაც დააყოლა:—ბატონო, არ გაბრიყვდეთ, ამათ არც ერთს არ წაჰყვეთ.... სასტუმროში კი არა საბუნაგოში გეპატიჟებიანო... ჩემი სასტუმრო პირველი სასტუმროა, დღეში ათ შაურს გამოგართმევ, სახლიც გექნებათ, საცვალიცა და მოსამსახურეცაო.—მეც ეგ მინდა—მეთქი და იმის ბილეთს მაშინვე ხელი წავაკარი: იაფსა და კარგს ვინ სულელი გაექცეოდა! ეს ამდენი ხალხი, რომელსაც შუაში ვყავდი დამწყვდეული, ერთ წამს ჩამომეცალა; თავჩაქინდრული მსახურები მიდუდუნებდენ:—აი, მამა ..... უცებ არ გამოგვაცალა ხელიდან ლუკმა პურიო.....

* * *

ბავეყვე ბარგით ჩემ მარჯვე მასპინძელსა. ბარიდგან სასტუმრო კარგი ᲐᲩᲐᲜᲓᲐ. ᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ კიბეზე მეორე მასპინძელი ჩამომეგება; თვალ-ციმციმა ბიჭმა ამას რაღაც უჩურჩულა და გაიქცა. ეს ამბავი გულში ეკლათ დამესო, ვთქვი, რაკი ჩურჩულზე მივიდა საქმე, აქ კარგი არა იქნებარა-ᲐᲗ თქი. მე შემიყვანეს დერეფნის ბოლოს ერთს ბნელს ოთახში, საცა ღლისით სანთელი უნდა დაგენთო, თორემ ვერას დაინახავდი; ნაგავი კოჭებამდის ეყარა და ცხვირს ასეთი სუნი ეკმია, რომ უნებურათ გაღებული კარისკენ გამოვიბრუნე. როცა ოთახის კუთხეები დავათვალიერე, დავრწმუნდი, რომ ჩემზე წინათ მდგმურსა ისეთი კაი კაცობა ეხმარა, რომ რაც სასმელ-საჭმელი პატრონიდგან ფულით წამოელო, უკანვე საჩუქრათ მიეცა.—ძმაოჯან, ქირას განა იმისთვის კი არ დაგპირებივარ, რომ ბუს თვალემი გამომაბა და უჩვევი სუნნელება მაკმიო-მეთქი.

— თქვენმა მზემ, ძრიელ კაი სადგომია, — ბიჭო, მოითმინეთ..... სული ნუ მიგდისთ.... ვითომ რა არის, მაშინვე რო შევეჯახებით ხოლმე მგზავრებსა... სანამ თვითონ არ დაგვიძახებენ, ნურც ერთი ნუ მივეკარებით. აი, ამ ნაირათ შეგვიძლიან რიგიანი ქირა ავიღოთ ხოლმე... მერწმუნეთ, თითო მგზავრის წაყვანა ყველას შეგვხვდება. უქირაველებლათ არავინ არ დავრჩებით და ჯიუტობითა რიგიან ფასსაც ავიღებთ. თორემ ეხლა, ერთი რომ ფასს იტყვის, მეორე მივარდება და მაშინვე დაუკლებს. ამნაირათ ყველას საქმე გვაქვს წამხდარი: არც ერთს რიგიან ქირას არ გვაძლევენ.—ლაპარაკობდა ერთი წერწეტა და პირხმელი მედროჟკე. იმისი პატარა თვალები ჯავრიანათ ანათებდა; თხელი ტუჩები ლაპარაკის დროს ისეთ ნაირათ ეკვრებოდა კბილებსა, რომ იფიქრებდი ამ კაცს მთელი ქვეყნის ჯავრი სჭირს და ყველას კბილებს უხრჭნსო.—ჩვენ რო თავი დავიჭიროთ, ემაგ პატარა ბიჭებს ვერ დავაჯერებთ და!...—ბძელი წვერის ცმაცუნით უპასუხა მეორე დაბალმა მედროჟკემ, რომელსაც ძველი შლაპა ისეთ ნაირათ ჰქონდა ჩამოფხატებული, რომ არც პირის სახე უჩნდა და არც კისერი.—ჩვენ რომ ვაჭრობას დაუწყებთ, ეგენი ჭინკებსავით წინ წაგვისწრებენ ხოლმე და მაშინვე დაუკლებენ.... ღვთის წყალობა მაქვს, იმ დღეს ერთ პატარა ბიჭს წაუდე და წაუდე....

— იკი რა ვქნათ—წამოიძახა მესამემ—მოდი პირობა შეეკრათ, მაგათ წინ ნუ გაუშვებთ.

— არ გაუშვებ, ბაყვებში გაგიძერებიან და ჩვენზე წინ მაინც წაეჩრებიან;—თქვა სიცილით მეოთხემ.

— ეჰ, ეგეც რომ არ იყოს, ბევრს მაინც ვერას გაუხდებით—ნაღვლიანათ დაიწყო წერწეტა მედროჟკემ.—ქირის გამოღებაში ყოველთვის ბატონები რჩებიან მოგებულნი. ორბურღლის უწყებაები“ აბრალებს ამას ვითომ შემვიწროებელს, ახალს, კანონებს.—

— ამას წინეთ სწერდენ რუსულ გაზეთებში, რომ ერთი დერპტის პროფესსორისთვის იქაურს სტუდენტებს გაუწყვიათ კატის კონცერტი, რადგან იმათ არ მოსწონდათ პოლიტიკური აზრები, რომელსაც წარმოსთქვამდა ხოლმე ეს პროესსორი კათედრიდან. ამავე გაზეთებიდან ვსცნობთ ახლა, რომ უ. ველკერი (პროფესსორი) გარდაუყვანიათ ხარკოვის უნივერსიტეტში,—

„რიგის უწყებაები“ ამბობენ, რომ ამ დემონსტრაციაში 16 სეკტემბერს 300 სტადენტამდი მიიღეს მონაწილეობაო.

ირკუსტკიდან იწერებიან ერთს რუსულ გაზეთში, რომ იქაურს ჩინოვნიკს უფ. ᲥᲝᲮᲚᲝᲔᲡ მოუგონია ისეთი წყლის ამწეი მაშინა, რომელიც ყველა ახლანდელ ამგვარ მაშინებზე მოხერხებული, და იაფიაო.—

ბაზ. „Вѣсть“ გვაცნობებს, რომ პეტერბურღლის ობერ-პოლიციმეისტრის ბრძანებით ქალაქის რამდენიმე ნაწილებში არის გამართული პოლიციის შკოლები, რომლებშიაც შეიყრებიან სამშაბათობით და შაბათობით პოლიციაში მოსამსახურე მდაბალი ჩინის პირები და სწავლობენ თავიანთ სამსახურს და

რუსეთის ამბები.

„პეტერბურღლის უწყებაებში“ სწერენ: „უწინდელი შინაგანი საქმეთა მინისტრის ვალუევის ხელმძღვანელობით შერდგენილი პროექტი ბეჭდვის კანონებზე არ დაუმტკიცებიათ სახელმწიფო რჩევაში, რადგან, როგორც „ბირჟის უწყებაში“ გვაცნობებენ, ახლანდელს მინისტრს გენერალ-ადიუტანტს ტიმაშევს გამოუტანია ის იქიდან.—

„ამბობდნენ, ეს პროექტი კიდევ უფრო ავიწროებდა ბეჭდვის მდგომარეობასაო, ამიტომ ჩვენ დიდათ გვიხარია, რომ არ დამტკიცდა. თუმცა გონიერი პოლიტიკა თხოულობდა, რომ ახლა ცოტათი უფრო ხალვათობა ყოფილიყო ბეჭდვაში, მაგრამ ეს პროექტი სიხალვათის მაგივრათ, როგორც ამბობენ, ბეჭდვის შევიწროებას აპირებდაო.—ახლა კი, ღვთით, ეს მაინც ვიცით, რომ ბეჭდვას უარესი მდგომარეობა არ მოელის.“—

„საექიმო უწყების“ სიტყვით, წელს მედიკო-ხირურგიის აკადემიაში შესულა მარტო 184 ახალი სტუდენტი, მაშინ როდესაც 1867 წელსა 270 შევიდა და შარშან 395.—„პეტერ-

---

— ᲑᲘᲭᲝ, მოითმინეთ..... სული ნუ მიგდისთ.... ვითომ რა არის, მაშინვე რო შეეჯახებით ხოლმე მგზავრებსა... სანამ თვითონ არ დაგვიძახებენ, ნურც ერთი ნუ მივეკარებით. აი, ამ ნაირათ შეგვიძლიან რიგიანი ქირა ავიღოთ ხოლმე... მერწმუნეთ, თითო მგზავრის წაყვანა ყველას შეგვხვდება. უქირაველებლათ არავინ არ დავრჩებით და ჯიუტობითა რიგიან ფასსაც ავიღებთ. თორემ ეხლა, ერთი რომ ფასს იტყვის, მეორე მივარდება და მაშინვე დაუკლებს. ამნაირათ ყველას საქმე გვაქვს წამხდარი: არც ერთს რიგიან ქირას არ გვაძლევენ.—ლაპარაკობდა ერთი წერწეტა და პირხმელი მედროჟკე. იმისი პატარა თვალები ჯავრიანათ ანათებდა; თხელი ტუჩები ლაპარაკის დროს ისეთ ნაირათ ეკვრებოდა კბილებსა, რომ იფიქრებდი ამ კაცს მთელი ქვეყნის ჯავრი სჭირს და ყველას კბილებს უხრჭნსო.—ჩვენ რო თავი დავიჭიროთ, ემაგ პატარა ბიჭებს ვერ დავაჯერებთ და!...—ბძელი წვერის ცმაცუნით უპასუხა მეორე დაბალმა მედროჟკემ, რომელსაც ძველი შლაპა ისეთ ნაირათ ჰქონდა ჩამოფხატებული, რომ არც პირის სახე უჩნდა და არც კისერი.—ჩვენ რომ ვაჭრობას დაუწყებთ, ეგენი ჭინკებსავით წინ წაგვისწრებენ ხოლმე და მაშინვე დაუკლებენ.... ღვთის წყალობა მაქვს, იმ დღეს ერთ პატარა ბიჭს წაუდე და წაუდე....

— იკი რა ვქნათ—წამოიძახა მესამემ—მოდი პირობა შეეკრათ, მაგათ წინ ნუ გაუშვებთ.

— არ გაუშვებ, ბაყვებში გაგიძერებიან და ჩვენზე წინ მაინც წაეჩრებიან;—თქვა სიცილით მეოთხემ.

— ეჰ, ეგეც რომ არ იყოს, ბევრს მაინც ვერას გაუხდებით—ნაღვლიანათ დაიწყო წერწეტა მედროჟკემ.—ქირის გამოღებაში ყოველთვის ბატონები რჩებიან მოგებულნი. ორ-

---

მოსკოვი რომ დაიაროთ, რასაც თქვენ იძლევით, იმ ფასათ ამაზე კარგს ვერსად იშოვნითო....—ᲑᲜᲔᲑᲐᲕᲗ, უკეთესს ოთახს მოგართმევთ, მაგრამ ის ერთმანეთად ელირება.—მეტი რა გზა იყო, ერთმანეთიანი ოთახი უნდა ამეღო, მაგრამ ახლა კი ძალიან დამნანდა ჩემი მოპატიჟენი. იმათსავით მეც წავიდუდუნე:—„ამ მამა ..... ხელათ არ წამგლიჯა ათი შაური!....“

ᲐᲛ სახით თვალ-ციმციმა ბიჭმა თავისი ხერხიანობით მეც ათი შაური მაზარალა და ჩემს მოპატიჟეებსაც სალუკმა პურო წაართვა....

* * *

ᲩᲕᲔᲜᲨᲘ იტყვიან: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“; ჩემის აზრით, ხერხი ისევ ის ღონეა, მაგრამ ბევრათ უკეთესი, ვიდრე მკლავის ღონე. ᲔᲠᲗᲛᲐ მეცნიერმა დიდი დაკვირვების შემდეგ სთქვა: „ცხოვრება არისო ბრძოლა სულდგმულთ შორის საზრდოსთვისაო“. ჩემი თვალ-ციმციმა ბიჭის ამბავი რომ მომაგონდება, არ შემიძლიან მეც არა ვთქვა: „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲐ ᲚᲣᲙᲛᲐ ᲞᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲐᲠᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲔᲠᲮᲘᲐᲜᲘᲐ.“

* * *

9 სექტემბერი. დილით ადრიანათ მეორე რკინის ეოგზალისაკენ გავსწიე. აქედგან ნიჟნაში მიდის ხოლმე მაშინა. მეათე საათი იყო. ნიჟნიდგან მაშინას ელოდენ, ეოგზალის წინ ურიცხვი ფაეტონები და ეანკები იდგენ. ეზოში მედროჟკეებს მოეგროვებინა თავი და ლაპარაკობდენ. ᲐᲑᲐ რაზედ, მკითხველო, გამოიცან?—სულ იმ წყეულ ლუკმა-პურის ფასზედა, რომლის უქონლობით კაცს ვერ უცხოვრია.

ვალდებულებას. ეს კლასები იქნებიან იმ დროამდინ, სანამ უფ. ობერ-პოლიცმეისტერი არ დარწმუნდება, რომ კარგა მკვიდრათ იციან პოლიციის მოსამსახურეებმა თავიანთი თანამდებობაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ახალციხიდამ.

წარსული ზაფხულის ივლისში და აგვისტოში დროებით მოსრულებთა შორის მეც ვცხოვრობდი ქ. ახალციხეში, და ესარგებლობდი და ეტკბებოდი იქ წმინდა, გრილი და მარგებელი ჰაერითა. შეეჭველია, თქვენს მკითხველებს ეცოდინებათ, რომ იქ მცხოვრებელს ზაფხულის თვეებში, წმინდა ჰაერის გარდა, შეუძლია ისიამოვნოს და ისარგებლოს თბილი აბას-ტუმნის მინერალური წყლებით და აგრეთვე ცივი ურაველის წყლებითაც, რომელნიც იმყოფებიან ახალციხის ახლო და სადაც ზაფხულში მიდიან ხალხნი სასარგებლოდ და დროების გასატარებლად სხვა და სხვა ქვეყნებიდგან. უნდა მოგახსენოთ, რომ მე აბას-ტუმნის წყლებზედ დავრჩი ივნისის დამლევამდინ, ხოლო ივლისი და სრული აგვისტო გავატარე შიგ ახალციხეში, სადაც ამ წელს არ იყო მოსაწყენი დრო კაცისთვის, რადგანაც ქალაქის ქვემო მხარეს ბაღში, უკრავდენ ბატალიონის მუზიკას კვირაში სამჯერ და თამაშობდნენ მასზედ ახალგაზდა ქალნი და ვაჟნი დიდის სიამოვნებით; თუმცა მე, უცოდინარობისა გამო, არ ვიღებდი მონაწილეობას ამ შეკრებაში, მაგრამ არა ნაკლებ ვსიამოვნებდი სხვა მოთამაშეების ცქერითა..... შესახებ ახალციხის მხარისა უნდა ვსთქვა, რომ ის არის ძლიერ ნაყოფიერი და მოსავლიანი ადგილი: აქაური ზაფხულისა და ზამთრის ხილი, თქვენც მოგეხსენებათ, გათქმულია მთელს ქაკასიაში. ქარგი საძოვარი, ადგილების წყალობით საქონელი მშვენიერათ იზრდება; ხალხი საზოგადოთ ძალიან შრომის მოყვარეა და უპირველესი ყურადღება ხვნა-თესვაზე და საზოგადოთ მეურნეობაზე აქვს მიქცეული.—

თვით ახალციხე უბრალო ქალაქი არ არის: სხვა ჩვენს უეზდის ქალაქებს არც ერთს უკან არ ჩამოუდგება და ბევრს კიდეეაც სჯობია, უეჭველია. აქ არის ძველად აშენებული კარგი, მაგარი, დიდი ციხე, რომელშიაც აშენებულია დიდი რუსების სობორო. ამ სობოროს შენობა, როგორც გავიგე, ძველათ ყოფილა თათრების მეჩეთად; ამბობენ კიდეე, რომ ამ მეჩითის აშენების დროს თათრების კალატოზებს ჰქონდათ ისეთი ბრძანებაო იქაური იმ დროს ფაშისაგან, რომ შენობაში დაეტანებინათ (და კიდეც არის დატანებული) ისეთი კუთხეები და ადგილები, რომელნიც საჭიროა არიან ქრისტიანების ეკკლესიისათვის; ამ ფაშას ჰქონოდა ესრეთი ჰაზრი და სურვილი მეჩეთის აშენებაზედ იმისთვის, ამბობენ, რომ ვითომც იმან წინათვე იცოდა, რომ ახალციხე დიდხანს არ დარჩებოდა თათრების ხელში და მცირე ხანში დაიპყრობდნენ მას ქრისტიანები; გარდა ამისა თვითონ ფაშასაც ჰსურდაო მიღება ქრისტიანობის სარწმუნოებისა და ამისთვის სასტიკათ დაისაჯა მაჰმადიანთაგან.-ახალციხეში ორ გვარი შენობაებია: ახალი და ძველი; ძველი სახლები არიან ზემო ქალაქში, რომელსაც, ამ ძველი შენობაებისა გამო, უწოდებენ ძველ ქალაქად. ახალი შენობაები კი არიან ქვემო ქალაქში, რომელსაც უწოდებენ ახალ ქალაქად.—ციდეე ვიმეორებ, რომ საზოგადოდ შენობისა და წყობილობის (?) მხრით ახალციხე თუ არა უკეთესი, თორემ ნაკლები კი არ არის სხვა ჩვენს უეზდის ქალაქებზედ.—ჩემს აქ ყოფნაში მე შევენიშნე მხოლოთ ერთი დიდი ნაკლულევანება საქალაქო მმართველობაში; ეს ნაკლულევანება მდგომარეობს მასში, რომ იქ არ არის მიქცეული ჯეროვანი ყურადღება ქალაქის შემოსავალ-გასავალზე და იმის რიგიანათ მოხმარებაზე.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ყველგან მოქალაქეები თვითონვე ზრუნავენ თავიანთი ქალაქის სისუფთავეზე, ქუჩების გაყვანაზე, ჰათს გაჩაღებაზე და სხ. ყოველი მოქალაქე იხდის ხოლმე დანიშნულს ხარჯსა, რომელიც ქალაქის სამმართველომ უნდა მოიხმაროს ზემოხსენებული საჭიროებაებისთვის. რასაკვირველია, ეს ხარჯი ჰხდება როგორც შეძლებულს ქალაქის მცხოვრებს, ისე შეუძლოსაც, რადგან ქალაქის გამშვენიერება და ყოველი მხრით გაკეთება ყველასათვის სასარგებლოა. ამ გვარს ხარჯს ქალაქის საჭიროებისათვის იხდიან აგრეთვე ახალციხის მცხოვრებნიც. მაგრამ არ შემიძლია ვსთქვა, რომ რიგიანად გადიოდეს ეს ხარჯი ქ. ახალციხეში: თუმცა იქ არიან, უმეტესად ქვემო ახალს-ქალაქში გვარიანათ გაკეთებული ქუჩები, მაგრამ, რადგანაც ამ ქუჩებს არ ინახვენ სუფთად, ამიტომ უნდა მოგახსენოთ, რომ ვერ იმყოფებიან სანატრელს მდგომარეობაში. ზოგან ძველს ქალაქის ნაწილშიაც არის გაყვანილი ქუჩები, მაგრამ ისინი სრულებით მიგდებული არიან უყურადღებოთ. ზოგიერთს ქუჩებში, ასე გაშინჯეთ, ფარნებიც დგანან, მაგრამ ანთებას ისინი ძლიერ იშვიათათ ეღირსებიან; მაგალითათ, როცა რომელიმე მმართებლობის პირი არის აქ.

აი, ესრეთ ნაირათ იხარჯება მცხოვრებლებისაგან შეკრებილი ფული ქალაქის ხსენებულ საჭიროებებისათვის! . . . . . .

. . . . . .ყველასთვის სასარგებლო და სასიხარულო იქმნება, რომ, ეისიც რიგია, მიაქცევდნენ ამ საქმეზედ ჯეროვანს ყურადღებას!—

გამველელი.

30 სეპტემბერს,
1869 წ.

პოლიტიკა.

ისპანია.

მადრიდი, 4 ოკტომბერს. ქორტესებმა მიიწვიეს პასუხის საგებლათ 17 დეპუტატი, რომლებთაც მიიღეს მონაწილეობა უკანასკნელს რევოლუციურს მოძრაობაში.—

—მადრიდის კორრესპონდენტი ანგლიური გაზეთის Temps-ისა იწერება: „არასოდეს არ ყოფილა ისპანია ისეთს ცუდს მდგომარეობაში, როგორც ახლა არისო. ხალხი ძალიან უკმაყოფილოთაა მმართებლობაზე პროვინციებში ჯარის ჩაყენებისათვის.—ამბობენ, თვით მადრიდის მცხოვრებლებიც ძალიან შეშფოთებულნი არიანო და ჰსურთ რამე რიგათ დააწყნაროონ ეს საზოგადო უკმაყოფილება-—

—ბაზ. „Morning Herald“-ში იწერებიან მადრიდიდან, რომ დეპუტატი სალერი მოუკლავთ სარაგოსსაში და გამოჩენილი ორატორი რესპუბლიკური პარტიისა, ქასტელარი, რომელსაც მოკვლას ემუქრებოდნენ იმისთვის რომ არ მიიღო მონაწილეობა უკანასკნელს მოძრაობაში, წასულა პორტუგალიაში.

მადრიდი, 11 ოკტომბერს. ისპანიის რეგენტმა სერრანომ გამოსცა გუშინ შემდეგი დეკრეტი: „მივიღებ რა ყურადღებაში ისპანიის ახლანდელს არეულს მდგომარეობას, მე, ვითარცა საკოროლოს რეგენტი, ვსდებ შემდეგსა: „ქორტესების დეპუტატების ამორჩევა უნდა შეჩერდეს იმ მაზრებში, საცა ისინი არ არიან ჯერ ამორჩეულნი, სანამ პოლიტიკური გარემოებანი არ მისცემენ ხალხს ამორჩევის ნებასა“.—

ფრანცია.

პარიჟი, ოკტომბრის 13-ს. ჟულსიმონთან შეიყარნენ ოპოზიციისა (მარცხენა მხრისა) ყველა დეპუტატები, ვინც კი პარიჟში იყო: პელტანი, ოლდინერი, ფერრი, ჟირო და მსკიროსი. აქ დარწმუნდნენ ისინი, რომ არც ერთს იმათგანს არ მოსწონს ის დემონსტრაციები, რომელთაც ამზადებენ ოკტომბრის 26-თვინ. ამის გამო შეკრებილმა დეპუტატებმა გარდაწყვიტეს—მიჰმართონ ხალხს და ურჩიონ, რომ ნურაფერს არეულობას მოახდენ და ნუ მისცემენ მმართ-

---

თი ორი მინუტის მოცდით მაგათ არა დაეკლდებათ რა და ჩემთვის ეს ხანიც ძვირათა ღირს. აი, ძმავ, დილიდგან ხუთი ექვსი შაურისათვის სულ აქ ვიცდი; ეხლაც თუ არ ავჩქარდი, აქ ხომ ვერ დავალამებ. დღეში მარტო სამი აბაზი ცხენის ხარჯათ არა მყოფნის. რაც უნდა ბევრი ვეწვალოთ, მაინც მაგ ფულიანების იქით გზა არა გვაქვს. რასაც დღეს ავიღებ, ჩემი ლუკმა ის არის: თუ ფასი არ დაუკლე, არ გიქირავებს, რასა იქ? მაგათ ხვალის სარჩოც ხელში აქვთ, ჩვენ კი დღევანდელი ლუკმაც არა გვაქვს. რომ არავინ დაგვიქირავოს, შიმშილით გავწყდებით. მოდი და ნუ დაუკლებ!...

— მგონია, ჩვენ მედროჟკეებისთანა საწყალი კი არავინ იყოს.—ამოიოხრა ვინლამაც.

— მართლაც რომ არავინ არის.—ყველამ ერთი ხმით დაატანა.

— საწყალი, ძმავ, ყველგან საწყალია, ყველა მედროჟკესთანაა.—თქვა წერწეტა მედროჟკემ და წავიდა თავისთვინ.

***

ვაიმე, ვაიმე!... მე რომ შარშან ვანიჩკას გაყინვა მომაგონდება, ენა ჩამივარდება ხოლმე.—დაიწყო წვერ ცმაცუნა და შლაპა ჩამოფხატებულ მედროჟკემ.—შარშან მაინც ძალიან სუსხიანი ზამთარი იყო... დიდ თეატრთან მოვგროვდით; ბატონები თეატრში ისხდენ, ჩვენ გარეთ ვიცდიდით. იმ ღამეს, პეტრუშა, შენც იქ არ იყავი—მიუბრუნდა ერთ ტუჩებ-სქელა მედროჟკესა.—როგორ არა. საწყალი ვანიჩკა რომ ცახცახებდა და თვალებიდგან მწარე კურცხლები სცვიოდა სიცივისაგან... საწყალი!...—ხენეშით თქვა ტუჩებ-სქელა მედროჟკემ.

— იმ უბედურს შეუძახე კიდეცა:—ბიჭო, შინ რატომ არ წახვალ მეთქი! გაგაგრძელა შოპა ჩამოვ[illegible]—დღეს თეატრი ზუ[illegible] ...ბ.

— ეაიმე, ეაიმე!... ეს ბ[illegible] ...ბ. ...ბ. ...ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებლობას მიზეზს სისხლის დაღვრისა და 1852 წლის კონსტიტუციის აღდგენისას. ამასთან დეპუტატებმა შეჰკრეს პირობა, რომ ნოემბრის 29-ს მოსთხოვონ მმართებლობას პასუხი თავისი კონსტიტუციის დარღვევაზე.—ზოგიერთი პარიჟის გაზეთები გვაცნობებენ, რომ მმართებლობა დიდს სამზადისში არის 26 ოკტომბრის მოლოდინობისთვისაო.

—პარიჟის გარნიზონს ბევრი ჯარი მოემატება და გამაგრდება; ვერსალის კავალერიას ბრძანება მიუღია, რომ გზათ იყავითო და, თუ საჭირო იქნება, მაშინვე პარიჟში შლისეის მეიდანი დაიჭირეთო; ყველა კაზარმებში გაუგზავნიათ ზარბაზნები; პოლიციის სერჟანტებისათვის დაურიგებიათ რევოლვერები და დაწვრილებითი ბრძანებაები. „Temps“ ამბობს: „ჩვენ არ ვიცით მართალია, თუ არა ეს ხმები, მაგრამ თუ მართლა ასე ემზადება მართებლობა, მაშინ ხალხი ძალიან გონიერათ მოიქცევა, თუ არ მისცემს იმას მიზეზსა ყველა ზემოაწერილი საშუალებაების მოხმარებისას. საზოგადო აზრი ასე არის მიმართული, რომ იმის წინ უნდა დაჩუმდენ თითოეული ხმები, რომლებიც თხოულობენ დემონსტრაციების უთოოთ შედგენას. იმედია, პარიჟის დემოკრატია იმოდენა გონიერობას გამოიჩენს, რომ თავი მახეში არ გაიბას“. ამავე აზრის წიგნები დასწერეს ჟულ-ფავრმა „Temps“ში და ვიქტორ ჰიუგომ „Siecle“ში.—

— შემდეგი მაგალითიდგან სჩანს—როგორ თავისუფლათ ლაპარაკობენ ფრანციაში გაზეთები ეხლანდელს იქაურს მმართებლობაზე.

გაზეთს „Reforme“-ში დაბეჭდილი იყო ის სენატის გადაწყვეტილება 1813 წლისა, რომლითაც ნაპოლეონ I-ს და იმის შთამომავლობას საუკუნოთ ერთმეევათ უფლება ფრანციის ტახტზე შესვლისა. ახლა ეს გაზეთი ურჩევს გამოსცენ ოკტომბრის 26-ს ისეთი გადაწყვეტილება, რომელშიაც უნდა იყოს მოხსენებული შემდეგი: „ნაპოლეონმა მე III კანონმდებელი კორპუსის დაუმტკიცებლათ დაადვა ბაჟი ზოგიერთს ნივთებს, მაგალითათ თამბაქოს. ნაპოლეონმა დაითხოვა კანონმდებელი კორპუსი იმ დროს, როდესაც ყველაზე უფრო საჭირო იყო იმისი შეყრა; იმ დროს, როდესაც ფრანციამ ოთხი მილიონის ხმით სთქვა, რომ უნდა შეეცვალოთ მმართებლობის სისტემაო, რადგანაც იმან დაჰკარგა ხალხში პატივი და აღარავინ ენდობაო, რომლის გამოც ყველა საქმე ახლა დამდგარი არისო. ნაპოლეონმა მე III-მ დაარღვია კონსტიტუცია, რომელიც მე 46 მუხლში ამბობს, რომ მხარე ექვს თვეზე მეტი არ უნდა დარჩეს უწარმომადგენლებოთაო. ნაპოლეონი III-ს დროს ბეჭდვა ყოველთვის პოლიციის ხელში არისო; ახლანდელი ბეჭდვის თავისუფლება თავისუფლებათ არ ჩაითვლება, რადგან ის მკვიდრე კანონებზე არ არის დაფუძნებული და იმიტომ იმას ყოველთვის შეუძლია მოსპოს ეს თავისუფლება. ნაპოლეონმა არ მოსპო ომიანობა მექსიკაში და სოლედადში და ამის გამო არ დაიცვა ინტერესი და ღირსება ფრანციისა. ნაპოლეონი ცუდათ სარგებლობდა იმ საომარი და საფინანსო საშუალებაებით, რომლებიც იმას ჰქონდა მინდობილი. ნაპოლიონმა წინდაუხედავათ დაჰკარგა მექსიკაში რამდენიმე ათი ათასი კაცი და ბევრი მილიონი ფულები. ამის გამო ხალხს დაედვა ბეერი ვალი, რომლისა უმეტესი ნაწილი ჩავიდა იმის მინისტრისა და მეგობრის—მორნის ჯიბეში. ნაპოლეონმა მე III-ემ დაღუპა, დაალარიბა რამდენიმე ქალაქი თავისი უზომო განცხრომილების დასაკმაყოფილებლათ.—რადგანაც მთელი ფრანცია გრძნობს ახლა, რომ უნდა შეიცვალოს ყველაფერი, რომ უნდა მოიშალოს სამუდამო ჯარი, რომელზედაც სრულებით უსარგებლოთ იხარჯება 600 მილიონი ფრანკი, მაშინ როდესაც ხალხის განათლებაზე კი მარტო 15 მილ. გადის, რადგანაც ნაპოლეონმა თვითონვე დაარღვია თავისი მოცემული კონსტიტუცია,—ამიტომ, ვისაც იმისთვის დაუფიცნია, ახლა არ არის მოვალე შეინახოს ფიცი და იმისი პასუხის მგებელი მინისტრები: ფორდკად-დე ლა—როკეტი, მანი, ლებეევი, რიგო-დე-ჟენული, ლერუ, დიუვერჟე, ბურბო, რომლებიც ყოველთვის მხოლოთ ნაპოლეონის ნებას ასრულებენ, აგებენ პასუხსა ხალხის წინაშე თავის ბრძანებლის მოქმედებისათვის“.—

ᲐᲜᲒᲚᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 12 ᲝᲚᲙᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ დიდი მოძრაობაა დატუსაღებული ფენიების განთავისუფლებისათვის; ძლიერ ხშირად იკრიბებიან მიტტინგები და თხოულობენ იმათ პატიებას. 10 ოკტომბერს ერთი ამისთანა მიტინგი, რომელშიაც 50,000 კაცმა მიიღო მონაწილეობა, იყო ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲨᲘ; ამათ მუზიკითა და დროშებით ჩაიარეს ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲘᲡ ქუჩებზე და გაჩერდნენ ერთს ალაგას, საცა კრება იყო დანიშნული; ამ მიტინგის თავმჯდომარეთ ამოირჩიეს პარლამენტის წევრი—მური, რომელიც ჰკიცხავდა თავის სიტყვაში მმართებლობის მოქმედებასა და იმის მომხრე გაზეთებსა. ᲝᲠᲘ სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმით გარდასწყვიტა მმართებლობისათვინ თხოვნის მიცემა, რომელშიაც მოხსენებულია ფენიების განთავისუფლება პასუხის გებისაგან და სატუსაღოსაგან.—ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲘᲕᲔ დემონსტრაციები იყვნენ სხვა ქალაქებშიაც: ქალები და კაცები მწვანე კაკარდებით და ზედ წარწერებით შლაპებზე დაიარებოდნენ ქუჩებში.—

ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, ᲝᲚᲙᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 12-ს.—ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ მოხდა ᲐᲘᲕᲘᲡ და ᲝᲰᲔᲘᲝᲡ შტატებში ღუბერნატორების ამორჩევა და რესპუბლიკელებმა ძალიან გაიმარჯვეს; ასე რომ ამათი კანდიდატები ყველგან დიდი ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქმნენ. ᲔᲡ გამარჯვება მიეწერება უფრო უმეტესად იმას, რომ ამორჩევაში მიიღეს მონაწილეობა შავკანიან მცხოვრებლებმაც—ნეგრებმა.

—პერუდან მოვიდნენ ცნობები, რომ ამ რესპუბლიკის სამხრეთისაკენ სეკტემბრის 20-ს 21-ს და 24-ს ყოფილა მიწისძვრა, რომელსაც დიდათ დაუზიანებია ორი ქალაქი: ᲘᲙᲕᲘᲙᲔᲔ და ᲐᲠᲘᲙᲔ; ამ უკანასკნელი ქალაქიდან მცხოვრებლები სულ გასულან.—

ᲡᲐᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

„დროების“ რედაქცია დიდის სიამოვნებით აცნობებს თავის მკითხველებს, რომ შემდეგში იმას შეუძლია ბეჭდოს თავის გაზეთში ჩვენს სასამართლოებში წარმოებული პროცესები; ის ეცდება ისეთები ამოარჩიოს იმათგან, რომელნიც საინტერესო იქნებიან და რომელთაც რომელიმე საზოგადო მნიშვნელობა ექნება. შეჭველია, რომ ამნაირი პროცესები ცოტაოდნათ მაინცა გააცნობენ „დროების“ მკითხველებს როგორც ახალს სასამართლოებს და წესდებულებაებს, ისე ჩვენი ხალხის ზოგიერთს ხასიათებსაც.—პირველი შემთხვევისთვინ ჩვენ ვბეჭდავთ ამ სამს პროცესს, რომელნიც წარმოებდნენ ᲑᲝᲠᲘᲡ მომრიგებელს სასამართლოში.

რედ.

ᲔᲠᲗᲛᲐ ვაჭარმა ოსმა ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲓᲐᲜ წარუდგინა შემდეგი საჩივარი ᲑᲝᲠᲘᲡ მომრიგებელ მოსამართლეს: „ცხენები გადმოვრეკე ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ გასასყიდათ და ამ თავადისშვილმა (მიათითა იქვე მდგომ მოპასუხეს) სამი ცხენი წამართო, ვითომც მე მომეპაროს იმის ცხენი ან მოპარული მეყიდნოს. ᲔᲡ ძალათ წართმეევა მაშინვე გამოუცხადე აქაურს უეზდის ნაჩალნიკს და საბუთებითაც დაუმტკიცე ჩემი სიმართლე; ნაჩალნიკმა, თუმცა გაგზავნა თავის ჩინოვნიკი ამასთან, რომ ის ცხენები ჩემთვის ეძლევა ჩემს მეგობარსა. ᲘᲛᲐᲜ სიამაყით თავი გაიქნია:—ჰეი, ჰეი! ᲦᲛᲔᲠᲗᲡ მელა იმისთვის გაუჩენია, რომ ტყეში კურდღლებს არ ეძინოსთო“....—ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲘᲡ ქალაქში ჩემს მოსაუბრეს გამოვეთხოვე.

Გ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

(შემდეგი იქნება).

ᲥᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲖᲘᲡ ᲡᲘᲗᲑᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ გამომეძიებელნი ამბობენ, რომ იყოო ისეთი დრო, როცა თითქმის მთელი ჩვენი დედა-მიწა მოფენილი ყოფილა დიდროინ ხეებით და სხვა და სხვა მცენარეებითა; ამ დროს დედა-მიწაზე, რასაკვირველია, ისეთი ბუნება და გარემოება იყვნენ, რომელნიც ეხმარებოდენ მცენარეების გამრავლებას: მაშინ დედამიწაზე მომატებული სინოტიო იყო, კაცებიც ნაკლებათ იყვნენ და ბევრს ტყეს არ სჭრიდენ და სხ. და სხ.—ᲗᲐᲕᲘᲡ სიცოცხლეში დედა-მიწას ბევრი ცვლილება გამოუელია: ის ზოგან აწეულა და მთები გაჩენილან და ზოგან დაწეულა; ზოგიერთ ზღვებს და ძდინარეებს თავიანთი კალაპოტი გამოუცვლიათ და ისეთ ადგილებზე გარდუვლიათ, სადაც წინეთ მინდორი ან ტყე ყოფილა. ᲐᲛ ნაირი მოვლენებაების დროს ხეები ხშირათ მიწის ქვეშ მოქცეულან და იქ გაუტარებიათ რამდენიმე საუკუნე და ათასი წელიწადები; უფრო ხშირათ კი წყალში ჩავარდნილი ხეები მოგროვებულან რომელიმე ადგილას ზღვის ან ოკეანეს ფსკერზე და იქ ქვიშა მოჰყრიათ იმათ ზევიდან. შემდეგში რომელიმე მოვლენების გამო ეს ზღვის ძირი ამოწეულა ზევით და ხმელეთათ გარდაქცეულა. სწავლულების გამოკვლევით ქვის ნახშირი, რომელსაც ახლა შეშის მაგიერათ ხმარობენ ცეცხლის გემებისთვის და სხვა და სხვა ორთქლის მაშინებისთვის, არის მიწის ქვეშ გაქვავებული მცენარე.

ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ იმ ტყეებს, რომელნიც ერთ დროს არსებობდენ დედა-მიწაზე და რომელნიც განქრენ, ეხლა მოაქვსთ ჩვენთვის აუარებელი სარგებლობა. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ᲐᲜᲒᲚᲘᲐᲨᲘ რომ იმდენი ქვის ნახშირი არ მოიპოვებოდეს, ის თავის დღეში არ იქნებოდაო ისე მდიდარ და განათლებულ ქვეყნათ, როგორიც ახლა არისო. ᲥᲕᲘᲡ ნახშირი ᲐᲜᲒᲚᲘᲐᲡ გარდა სხვა ქვეყნებშიაც ბევრია, მაგრამ, რადგან ჯერ დიდი ხანი არ არის რაც ამოაჩინეს იმის მადნები, ამიტომ იმდენი სარგებლობაც იქ ვერ მოიტანა. ᲒᲐᲛᲝᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲔᲑᲣᲚᲘᲐ, რომ ᲐᲜᲒᲚᲘᲘᲡ მიწებში იმდენი ქვის ნახშირია, რომ რაც ახლა იხარჯება წელიწადში შემდეგშიაც რო იმდენი ხარჯონ, ორი საუკუნის განმავლობაში მაინც კიდევ იკმარებს; ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ და ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲡ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ კიდევ უფრო მომატებულია და ამის დიდი იმედი აქვთ, რადგან ტყეები აჭრისაგან სულ თან და თან ილევიან. რა ეშველებოდა კაცობრიობას, რომ ბუნებას არ მოემზადებია იმისთვის ამდენი სათბობელი? რას იქს კაცი, როცა შემოელევა ტყე და ქვის ნახშირი? რითი გააჩენს ორთქლს რომ მოიყვანოს მოძრაობაში რკინის გზის ვაგონები, ზღვის გემები და თავის გამოგონილი ათას ნაირი ორთქლის მაშინები?...

ᲐᲛ უკანასკნელს დროში სწავლულებმა დაიწყეს ამაზედ ფიქრი და აღმოაჩინეს ერთი სითბოს მომცემი წყარო, რომელსაც შეუძლია შეშისა და ქვის ნახშირის მაგიერობა. ᲔᲡ წყარო მზეა. ᲔᲠᲗᲛᲐ ფრანცუზმა, სახელად მუშომ, გააწყო ᲞᲐᲠᲘᲯᲨᲘ ისეთი მაშინა, რომლის შემწეობით ის მშვენიერათ ამზადებს უცეცხლოთ სხვა და სხვა საჭმელებსა, აცხობს, როგორც რიგია, პურსა და სხვ. მაშინა ძალიან უბრალოა და არც მაინცა და მაინც ძვირათ ღირს; აი რა ნაირათ არის ის მოწყობილი: თუჯის ან სხვა რომელიმე მეტალის ცილინდრი, რომელშიაც წყალი ასხია, სდევს მეორე ჭიქის ცილინდში; ამ უკანასკნელს ცილინდრსა ახურავს ზევიდან ჭიქის სახურავი; მზის სხივები ეცემიან მაშინაზე მოწყობილს გაელვარებულს ვერცხლის ცილინდრსა, რომელიც ჭკრებს იმათ; აქედან სხივები უკან იქცევიან და გარდადიან პირდაპირ თუჯის წყლიანს ცილინდრზე და ამ რიგათ მოკლე დროს განმავლობაში ამ სხივების სითბო ადუღებს წყალსა.—ᲥᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡᲐ ან კარტოფილის მოხარშვა თუ უნდათ, ჩაყრიან იმათ თუჯის ჭურჭელში (ცილინდრში) და რამდენიმე მინუტის შემდეგ ისინი მზათ იქნებიან. პურის გამოსაცხობად ჭიქის სახურავის მაგიერათ გარეგანს ჭიქის ცილინდრზე დაადებენ დიდს რკინის თეფშსა, რომელზედაც დააწყობენ მოგვრალებულს პურს და რომელიც ჰხურდება ქვევიდან წყლის ორთქლითა.—

ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ამ ნაირათ მოხმარებული მზის სხივების სითბო შეშისა და ქვის ნახშირის მაგიერობას ჯერ-ჯერობით ვერ იქს ვერსად და განსაკუთრებით იმ ცივ ჰაერიან ქვეყნებში, საცა მზის სხივებს მაგდენი სითბო არა აქვსთ და არც დიდხანს ანათებენ ისინი. მაგრამ, უეჭველია, რომ, თუ ეს ახალი მოგონება სისრულეში მოიყვანეს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. ᲨᲔ. მუშოს გამოკვლევა უჩვენებს მხოლოთ სახსარს, რომელსაც უნდა მიმართოს კაცმა, როცა ბუნებითი სათბობელი—ქვის ნახშირი შემოელევა იმას.—

* * *

. . . . . .

. . . . . .

* * *

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲡ ძალიან იამა, როცა შეიტყო ჩემი ქართველობა.—ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, მე თქვენ ნემენცი მეგონეთო.—ᲑᲔᲕᲠᲡ ᲣᲠᲘᲐᲪ ᲕᲒᲝᲜᲔᲑᲘᲐᲠ-ᲛᲔᲗᲥᲘ.—ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐ იქიტ იყოს და თქვენ ᲑᲐᲚᲢᲘᲔᲚ ნემენცს უფრო ჰგავხართ.—ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ სიტყვამ მოიტანა და ეგ ᲣᲠᲘᲔᲑᲘ ძალიან მეჯავრებიანო, მაგათთანა ცუდი ხალხი ვგონებ, არსად არ უნდა იყოსო.

— ᲠᲝᲒᲝᲠ-ᲛᲔᲗᲥᲘ.

—ᲦᲛᲔᲠᲗᲡ მაგათთვის არ მიუცია უმთავრესი კეთილშობილური თვისება. მაგათთანა მხდალი ქვეყანაზე არ იპოვება და არც მაგათთანა ყალბი ხალხი. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲣᲠᲘᲐ სიცრუის ლაპარაკში და მოტყუებაში ბერდება. მაგრამ რაც გინდა თქვი!.. ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ თითქმის მაგათ ხელშია. ᲣᲛᲐᲒᲐᲗᲝᲗ ᲕᲔᲠᲪ ᲒᲚᲔᲮᲘ და ვერც აზნაური იქ ტანს ვერ ჩაიცვამს. ᲔᲒ არი უბედურება, რომ იქ აზნაურისა და გლეხის სიმდიდრე მაგათ უჭირავთ.

— ᲗᲥᲕᲔᲜ ისეთ ნაირათ დაიწყეთ ლაპარიკი, რომ, მეგონა, მართლაც დაამციბებდით, მაგრამ თქვენ ამაღლებთ და არ ამცირებთ იმათ—მეთქი.

— ᲠᲐᲡᲐ იქ! მთელი ვაჭრობა მაგათ მოიგდეს ხელში. ᲑᲚᲔᲮᲔᲑᲡ მაინც მაგათ ვალისაგან თავი ვერ უხსნიაო.

— ᲛᲐᲒᲐᲡ გარდა ეხლა ისინი უნივერსიტეტებშიაც იზრდებიან; თავის ლიტერატურას და ენას ყურადღებას აქცევენ; სეირი არ იქნება, რომ იმათ ჩვენ შორის თავისი საკუთარი ეროობა დაამკვიდრონ—მეთქი.—ᲬᲐᲡᲐᲥᲔᲖᲔᲑᲚᲐᲗ დავიწყე ლაპარაკი, მინდოდა შემეტყო, ამა რას იტყვის ამაზე—მეთქი.

ᲔᲡ სიტყვები მართლაც ლახვარსავით მოხვდა ჩემს მეგობარსა. ᲘᲛᲐᲜ სიამაყით თავი გაიქნია:—ჰეი, ჰეი! ᲦᲛᲔᲠᲗᲡ მელა იმისთვის გაუჩენია, რომ ტყეში კურდღლებს არ ეძინოსთო“....—ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲘᲡ ქალაქში ჩემს მოსაუბრეს გამოვეთხოვე.

Გ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაებრუნებინათ, მაგრამ ჩემი საქონელი მე აქამდინ არ ჩამბარებია.

მოპასუხე. ჩემი ცხენი ვიცან და მართალია წავართვი; რაღათ დაუბრუნებდი?

მსაჯული. თქვენის ძალით წაართვით?

მოპას. დიახ, მე ცხენი დავკარგე და ამის ხელში ვიპოვნე.

მსაჯ. როდესაც დაჰკარგეთ ცხენი, უეზდის ნაჩალნიკს გამოუცხადეთ, როგორც წესია კანონით, და აღწერეთ ყოველივე ცხენის ნიშნები: ფერი, წლოვანობა, რა დროს და როგორ დაჰკარგეთ?

მოპას. ნაჩალნიკისათვის კი არ გამომიცხადებია აგრე დაწერილებით, მაგრამ ჩვენი სოფლის მოხელეებს გამოუცხადე, რო ცხენი დავკარგე.

მსაჯ. მაშ თქვენი ცხენი, რომ ვიპოვნოთ ეხლა, როგორ დაგიბრუნოთ, თუ კი თქვენი განცხადებით ცხენის ნიშნებს არ შეავმოწმებ; რა სიმართლეს უნდა დავემყარო? თქვენ წაგირთმევიათ ამ კაცისათვის ერთის მაგიერ სამი ცხენი თქვენი ძალით; ის სამი ცხენი ეხლავ დაუბრუნეთ.

მოჩივარი ოსი. მე მარტო ცხენების წართმევას არა ვჩივი, არც ჩემს გალახვასა და არც ამისაგან უპატიურად მოპყრობას; ეს ერთი წელიწადია ჩემ საქმეს მოვცდი და ამ საქმეს დავდევ უკან თავი ვიმართლო და ნდობა არ გავიტეხო—ეაჭარი კაცი ვარ. რამდენი მწუხარება და ავათმყოფობა გამოვიარე ამ უცხოს ქვეყანაში! ჩემმა სახლობამ კიდეც გამამიმგლოვა და ჩვენს ჩვეულებაზე მკვდრის წესი ხარნაგა გადაიხადა; ჩემი ანბავი რომ აღარ მიუვიდათ, მკვდარი ვეგონე. მე აი ამ ხარჯსაც ვითხოვ (აჩვენებს მსაჯულს საბუთებს—რაც ხარჯი მოსელია).

მსაჯ. (მოპასუხეს). მე გირჩევთ ამ ხარჯზედაც მოურიგდეთ და, როგორც იყოს, ეს კაცი შეიჯერიეთ; რასაც მისცემთ დაგჯერდებათ.

მოპას. ცხენებიც დაუბრუნო და ხარჯიც მივცე? მე არ შემიძლია! მოწმებსა ჰკითხეთ, რომ სწორეთ ცხენი დავკარგე და ის ჩემი ცხენია, რომელიც წავართვი ამას.

მსაჯ. ძნიაზო, მე თქვენ კიდეე გირჩევთ მშვიდობით მორიგდეთ ერთმანეთში და ეს საქმე მორიგებით გაათავოთ. თქვენ არ შეგეძლოთ, თუ მართლა იცანით, ძალათ წაგერთმიათ; ძალათ წართმევა, ხომ იცით, კანონის წინააღმდეგი არის.

მოპას. მე ვერას მივცემ ხარჯსა! ჰკითხეთ ამ მოწმებსა (აჩვენებს გლეხებზე).

მსაჯ. (მოწმებს). თქვენ რისთვის მოსულხართ, რა გინდათ სთქვათ?

მოწმები (ერთხმათ). რა მოგახსენოთ! რა ვიცით, რას გვკითხამთ.

მსაჯ. მე თქვენ გკითხავთ ფიცქვეშ, მაგრამ თქვენ ნუ გგონიათ ისე დაგაფიცოთ და ჩუმათ ცალკე გკითხოთ, როგორც უწინ იყო, ხოლმე; არა, ეხლა აი ამ შეკრებილებაში დაგაფიცებთ და ყველას სამართლით გამოგათქმევინებთ, რომ სუყველამ გაიგონოს მართალიცა და ტყუილიცა.

მოწმებმა შეხედეს ერთმანეთს განცვიფრებით და ჰსთქვეს რაც ჰქონდათ სათქმელი.—

სამის დღის შემდგომ გამოეცხადათ მოჩივარსა და მოპასუხეს განჩინება, რომლითაც მოჩივარს ოსს დაებრუნა თავისი ცხენები. ამას გარდა მოპასუხემ კიდევ უნდა მისცეს მოჩივარსა მოცდენისა და ხარჯის ფასი 1490 მანეთი. ამ განაჩენზე მოპასუხემ გამოაცხადა უკმაყოფილობა და გამოიტანა საჭირო კოპიოები აპელაციის გადასატანათ ოლქის სასამართლოში.

მებატონე უჩივის თავის სოფლის გლეხსა, რომ იმან ბალიში და სხვა რაღაებიცა მომპარაო.

მსაჯ. როგორ რაღაებიცა? სწორეთ სთქვით!

მოჩივარი. შინაური ავეჯულობა—საღვინე.. ი ამ სოფლის მოხელეებმა იციან; იმათ გადუწყვიტეს.

მსაჯ. (მოხელებს). თქვენ რას იტყვით? რა გადრწყვიტეთ?

მოხელ. ამ მებატონეს ბრძანებით ასე გადავწყვიტეთ, რომ ამ კაცმა უნდა დანაკარგი უზღოს ამათ.

მოპას. ღმერთმან ხომ იცის, რომ მე მაგის ქურდი არა ვარ და არცარა მამიპარამს რა ჩემ დღეში. ჩემი დანაშაული ეს არის, რომ ამასთან ახლო ვდგევარ; მე უფრო ბევრი მაქვს საჩივარი, მაგრამ ერთი საწყალი კაცი ვარ.... მაგათთან ბრძოლა სად შემიძლიან, ან სად უნდა გადავსახლდე?...

მსაჯ. (მოხელებს). არა ეს მებატონე რა ბრძანებელი იყო თქვენი? ამას გარდა ეს საქმე რათ გარდაწყვიტეთ თქვენ? უნდა იცოდეთ ქურდობის საქმის გარდაწყვეტა თქვენ არ შეგიძლიათ კანონით.

მოხელ. (ერთხმათ). რა მოგახსენოთ, ბატონო.... ჩვენი სოფლის მებატონე ბრძანდება, როგორც გვიბრძანა, ისე გარდავწყვიტეთ.

მსაჯ. შეგიძლიათ დაიფიცოთ, რომ ეს კაცი სწორეთ ამათი ქურდი იყოს და კიდეეც შეგიმჩნევიათ რამე ამისთვის?

მოხელ. (გრძნობით). არა, შენი ჭირიმე, ჩვენ მაგაზე ვერ დავიფიცამთ და ვერც ურიგოს რასმე ვიტყვით ამისას; ღვთის წინაშე ამ კაცისთვის ცუდი არა შეგვიმჩნევია რა არას დროს.

მსაჯ. კარგი, თქვენ წადით. (მოპასუხეს). შენც თავისუფალი ხარ ამ საქმისაგან. (მოჩივარს). რადგან თქვენმა მოწმებმა ვერ გიმოწმეს და არ დაიფიცეს ამ საჩივარზე უარი გეთქმისთ.—

მოჩივარმა წარადგინა თამასუქი, რომლითაც ორთა ძმათა დ—ს და ს—ს უსესხნიათ მოჩივრის მამისაგან (აწ გარდაცვალებულისა) ხუთი თუმანი ფული.

მსაჯულმა წაუკითხა ეს თამასუქი მოპასუხეს დ—ს, და ჰკითხა: ამაზე რას იტყვით, რა პასუხს აძლევთ?

მოპას. (თავმოწონებით). ეგ ჩემი ვალი არ არის; ამისი მამა მეც კარგათ მიცნობდა და ჩემ ძმასაცა.

მსაჯ. ეს თქვენი ხელმოწერილია? (უჩვენებს თამასუქზე ხელმოწერილს).

მოპას. (ამაყად). არა, ეგ ჩემი ხელი არ არის; თუ ეგ ჩემი ხელმოწერილი გამოჩნდება, ოც თუმანს გადავიხდი შტრაფს.

მსაჯულმა მოითხოვა მეორე საქმე კანცელარიიდამ და შეამოწმა მოპასუხის ხელმოწერილი თამასუქი სხვა ქაღალდებზე.

მსაჯ. (მოპასუხეს). ძალიან ადვილი დასამტკიცებელია, რომ ეს თამასუქი თქვენი ხელმოწერილია; ამისთვის, მე მგონია, რომ ოცის თუმნის გადახდას უმჯობესია ოცდა ხუთი მანეთი გადაიხადოთ, და საქმე გაათაოთ.

მოპას. ბატონო, რას მიბრძანებთ? ეგ ვალი ჩემ ძმისწულს ერგო, თქვენი რისხვა არა მაქვს; ღვთის პირისაგან ვიყო წყეული და შეჩვენებული, თუ ეგ ჩემი ხელმოწერილი იყოს.

მსაჯ. სწორეთ დაიფიცებთ, რომ თქვენ ხელი არ მოგიწერიათ!

მოპას. რაში დავიფიცამ, აკი მოგახსენე, ეგ ვალი ჩემ ძმის წულს ერგო განაჩენით, განა აპეკუნმა არ იცის?... თუ ჩემი ძმისწული იტყვის, რომ ჩემი ვალია, მაშინ, მეტი რა ღონეა, მივცემ ნახევარს ოცდა ხუთ მანეთსა...

მსაჯ. მაშ კარგი, პროტოკოლი დაიწეროს, რომ ეს ფული განაჩენით თქვენ ძმის წულს ერგო და თამასუქზედ კი თქვენ არ მოგიწერიათ ხელი; ამაზედ მოწმებს ვკითხოთ, თქვენი ხელია თუ არა.

მოპას. კარგი, მივცემ ნახევარ—ოცდა ხუთ მანეთსა; დამაცალოს მაინცა, ეხლა გროში არა მაქვს თანა...

მსაჯ. როდის მისცემთ?

მოპას. პურს მივცემ, ფული იქნება ვერ უშოვნო.

მოჩივ. ჩამომიტანოს სურამში, თუ არ მატყუებს, პურსაც დავჯერდები!

მოპასუხე ნელ-ნელა ამოიღებს პორტმანეს ჯიბიდან და სთვლის ოცდა ხუთს მანეთს და გარდასცემს მოჩივარსა. მსაჯული ღიმილით მიატოვებს პროტოკოლის შედგენას და სხვანი მაყურებელნი ღიმილითვე ჩურჩულობენ: „აი, იტყვიან, კაცია-ადამიანიო, თითქოს ფული არა ჰქონდა თანა, მალე გააჩინა“!

დ. მეღვინეთხუცესოვი.

27 აპრილს 1868 წ.

ბორი.

სიგელი.

ეს სიგელი გამოვართვით ჩვენ დასაბეჭდათ ერთს იმ პირის შთამომავალსა, რომლისაგანაც მირთმეული ყოფილა მეფე ირაკლი II-სათვის ქვეშმოყვანილი თხოვნა. ჩვენი აზრით მეფის ზედწარწერა ამ თხოვნისა ძალიან შესანიშნავია.—სიგელი აქ სწორეთ ისეა დაბეჭდილი როგორც ხელნაწერში იყო.—

რედ.

ქ ღთან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მოქალაქე სადედოფლო უმიკაანთ ოსეფას ჯალაბს მერე ჩემი ქმარ მაზრი მოვალის ხელისაგან ასერ ათი წელიწადია გაქცეულნი არიან ორი ვაჟი გაუშვეს ჩემს კისერზედ ჩემის ჩიქილის წვერით ეს ყმაწვილები დავზარდე ასერ შვიდი წელიწადია შიხ მაჰმადა ჩემს სახლში დააყენეს შიხ მაჰმადამაც თავის სიმამრი თავისთან მოიყვანა მე ჩემის შვილებით ეზოში გამოგვყარეს მე უთხარ შიხ მაჰმადას შენ დაგაყენეს სიმამრი რაღათ მოგყავს მეთქი თორმეტი აბაზი იმის სიმამრმა მომცა ეს სახლის ქირათ აიღეო თუ კიდევ დავდგები კიდეე მოგცემო ახლა თქვენის ბრძანებით გადიან მე სხვასაც ვიდავები ქირასა და ის თავის თორმეტს აბაზსა მთხოვს არ გადის ამის სამართალი მაღირსეთ მარტის ზ ქ-კ-ს. უნ ვ

(ირაკლი მეფის ზედ წარწერა, რომელიც თხოვნის გვერდზეა მოწერილი; იმის ქვეით ირაკლის ბეჭედია).

ქ: ჩვენი: ბრძანება: არის: ამ: არზის: პატრონო: თუ: იქნებოდეს: ახლა: ზამთარი; არის: ამ: დროს: სად: გაგდებ: ცოტას: ხანს: კიდევ: ქირით: დაყენე: მანამდის: სახლის: ფიქრს: იქმოდეს: ამას: ბძანებით: კი არ: გიბძანებთ: შუამავლობასავით: გეუბნებით: რომ: ჩვენის: გულისათვის: ასე: ჰქნა: მარტს: ი ე ქ-კ-ს. უ ნ ვ

სხვა და სხვა ამბები.

ამ წლის 1 ოკტომბერს გარდაიცვალა პარიჟში გამოჩენილი მწერალი და პოლიტიკური მომქმედი პირი—შ ა რ ლ ი ს ან-ბ ო ვ ი. ის დაიბადა 1804 წელში და პირველში იზრდებოდა დედას ხელში, რომელმანც თავიდანვე შეაყვარა იმას ლიტერატურა. პარიჟში სან-ბოვი ჯერ მედიცინას სწავლობდა, მაგრამ მალე ლიტერატურამ ხელახლათ მიიზიდა; ამ დროს ის სწერდა კრიტიკულ სტატიებსა ზოგიერთს ფრანცუზულ გაზეთებში და ჟურნალებში. რამდენიმე ხანს ჰკითხულობდა ლექციებს „რომის პოეზიაზე“ College de France-ში, მაგრამ, რადგან სტუდენტებს არ მოსწონდათ ამ ლექციების მიმართულობა, ამიტომ იძულებული იყო დაენებებინა თავი პროფესორობისთვისა. შემდეგ 1845 წ. სენ-ბოვი ამორჩიეს სამეცნიერო აკადემიის წევრათ; ამას გარდა სენატორიც იყო და სიბერეში 30,000 ფრანკი პენსია ეძლეოდა. უკანასკნელს დროში იმან ისევ დაიბრუნა ახალგაზდობის და ლიბერალების სიყვარული მით, რომ სენატში მუდამ იყო კლერიკალების წინაალმდეგი და მჭევრ-მეტყველათ იცავდა ბეჭდვის და სწავლების თავისუფლებასა. პარიჟის გაზეთებში სწერენ, ვითომც თავის ანდერძში სან-ბოვს დაებარებინოს, რომ იმის გვამი სადგომიდან პირდაპირ წაეღოთ მონმარტრის სასაფლაოზე და იქ დაემარხათ წეს-აუგებლათ, „რადგან ეს უკანასკნელი წესი იქნებაო წინაალმდეგი იმ აზრებისა, რომლის მიმყოლიც სიცოცხლის დროს იყო“. ამას გარდა იმან დაიბარა, რომ ჩემი დასაფლავება, რაც შეიძლება, უბრალოთ მოახდინეთო და დამარხვის დროს ნურავინ ნუ იტყვის ჩემს მაქებელს სიტყვასაო.—

აი რას სწერენ ერთს გაზეთში ქორნელის (ამერიკაში) უნივერსიტეტის სტუდენტებზე: „ღარიბი სტუდენტები ამ უნივერსიტეტისა თავის ხელებით ჰპოულობენ თავის საზრდოსა და ლუკმა პურს: ერთი სტუდენტი სახლებს ჰგვავს და მით ირჩენს თავს; ძალიან ბევრი ქუჩებზე თლის ან ამტვრევს ქვას და დღიურ ქირას იღებს, ზოგი მუშაობს უნივერსიტეტის ბაღში და ამის გამო ლექციების სმენისათვის ისინი ფულს არ იხდიან. ერთი სიტყვით ისინი არ ითაკილებენ არც ერთს საქმეს და ყველა მუშაობას მოჰკიდებენ ხელს, ოღონდ კი არჩინოს იმან და ამ რიგათ მისცეს საშუალება სწავლის შესრულებისა.“ ჩვენი საზოგადოებისთვის გასაკვირველი ის უნდა იყოს ამაში, რომ ეს სტუდენტი-მუშები ისე არიან ყველგან საზოგადოებაში მიღებული და ისე პატივს სცემენ იმათ, როგორც ყოველს კეთილშობილსა და საპატიო კაცს. ამერიკაში ამისთანა შემთხვევები იშვიათნი არიან და ამიტომაც იქაურები გულგრილათ შესცქერიან; ამერიკელებისთვის ყოველი შრომა კეთილშობილურია და ყოველი მ'ეროშელი ქვეყნის სასარგებლო წევრი.—

ვარშავის მებაღეებმა აღმოაჩინეს, რომ ყვავილების ფერის გამოცვლა ადვილათ შესაძლებელია; ამისთვის იმ ნიადაგში, საცა ყვავილია დათესილი, უნდა აურიოს კაცმა რომელიმე ფეროვანი ნივთი; მაგალითათ დანაყილი ნახშირი რო მოაყაროთ ძირში ვარდს და გიორგინს, იმათ უფრო მოშავო, მუქი ფერი მიეცემა.—

ფოჩტა

თბილისიდან ფოჩტა მიდის: ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ერევანში და ჯულფისაკენ.—ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბაქოს გუბერნიაში და შემახაში—მსუბუქი ფოჩტა.—ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ რუსეთში, ქუთაისში—ფოთამდინ, ერევანში, ალექსანდროპოლში და ნოეობაიაზეთში.—ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რუსეთში.—პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ—ქუთაისში, ახალციხეში და ერევანში. შ ა ბ ა თ ო ბ ი თ—რუსეთში და შემახაში.—კ ვ ი რ ა ო ბ ი თ რუსეთში და ქუთაისში.

ტელეგრაფი.

დეპეშის გასაგზავნი ფასი თბილისიდან: ქუთაისში, ბაქოს, ვლადიკავკაზს, ორპირს, ფოთს, ერევანს, ახალციხეს, ნუხას, შემახიას—1 მან.. ასტრახანს, ქერჩში, მოსკოვს და ოდესსას—2 მან.—ბორს, სინდალს—50 კაპ.—პეტერბურღს, ჟენევას, სტამბოლს—3 მან.—პარიჟს, ლიონს, მარსელს—3 მან. და 38 კაპ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го Октября, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.